ბრძანება:**ბ40.402207314**
თარიღი:**14/03/2022**

კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფული რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე. ე." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 61-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შექმნილ იქნას კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფული რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა ზარანდია – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) დონარა ალანია – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

გ) ედიკა ბერაია – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

დ) ნატალია ხუბუა – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ე) დალი ქაჩიბაია – ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის მდივანი;

ვ) ირაკლი საჯაია – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ზ) გელა ჯანაშია – სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ე) ირაკლი გვალია – ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის წევრი;

ზ) ბადრი ქუთელია – ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს დირექტორი, ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფმა რეგულარულად განიხილოს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვითი საკითხები, ანგარიშები. კლიმატის ცვლილებასთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები, კლიმატის ადაპტაციასთან და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების მხრივ მგრძნობიარე ადგილები და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოიტანონ გადაწყვეტილებები ამ საკითხებზე.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ხელი შეუწყონ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას და გარემოსდაცვით სექტორში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ქმედებებისა და დახარჯული რესურსების ეფექტიანობის ამაღლებას, (მაგ. კატასტროფული რისკების პრევენციული ღონისძიებების გატარება, ენერგოეფექტურობის დანერგვა-პოპულარიზაცია, ნარჩენების სეპარირება და სხვა). კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფული რისკების პრევენციის მიზნით მოახდინონ ადმინისტრაციული ერთეულების შესაბამისი ადგილების დათვალიერება, წარმომადგენლებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებასა და ადაპტაციაზე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ბუნებრივი კატასტროფების სახეებზე და კატასტროფების დროს ქცევის წესებზე. მოწყვლად თემებში კატასტროფული რისკების (მეწყერი, წყალდიდობა და სხვა) შესამცირებლად მიმართული პრიორიტეტული ღონისძიებების ინფრასტრუქტურული პროექტების გატარება.

სამუშაო ჯგუფმა ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის ჩართულობას ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) და სხვა შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებას.

ცნობიერების ამაღლებისა და შემდგომ მისი გავრცელების მიზნით, სამუშაო ჯგუფის წევრები ჩართულ იქნენ გარემოსდაცვით ტრენინგებში, კონფერენციებსა და შეხვედრებში. აქტიურად ჩაერთონ სსიპ გარემოს დაცვის ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროექტში „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ და მიღებული ცოდნა და ინფორმაცია გამოიყენოს მუნიციპალიტეტში. რეკომენდაცია გაუწიონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს გადაწყვეტილების მიღებაში ამა თუ იმ გარემოსდაცვით პროექტებსა და საკითხებზე. ითანამშრომლონ სამთავრობო უწყებებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

3. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი წარმართავს ჯგუფის საქმიანობას, უზრუნველყოფს დავალების გაცემას, საკითხების განხილვას შეხვედრებზე და მონიტორინგს. ჯგუფის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოკუმენტების მომზადებას როგორც მუნიციპალიტეტის მერისთვის, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად.

4. სამუშაო ჯგუფის მდივანი წარმოადგენს საკონტაქტო პირს სამინისტროებისთვის, დაინტერესებული მხარეებისთვის, დონორებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. ის უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხებზე მასალების, ანგარიშების, დოკუმენტების მომზადებას ჯგუფის ხელმძღვანელისთვის. მდივანმა ჯგუფის წევრებთან ერთად ამასთანავე უნდა უზრუნველყოს სენაკის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვით საკითხებზე მიმდინარე ყველა პროექტის თუ ინიციატივის აღრიცხვა და წარადგინოს ჯგუფის ხელმძღვანელთან, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მათ განხორციელებას და შეაფასოს ამ პროექტების წარმატებულობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. აგრეთვე შეაგროვოს ინფორმაცია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარემოსდაცვით პრობლემებზე და განიხილონ სამუშაო შეხვედრებზე.

5. საზოგადოების სხვადასხვა ფენების (მოსწავლე-ახალგაზრდები, ეკოკლუბები, ფერმერები, პედაგოგები და სხვა) ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართონ შეხვედრები და სხვა კამპანიები.

6. საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით უზრუნველყონ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე და მუნიციპალიტეტში ამ

მიმართულებით დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე.

7. სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართოს კვარტალში ერთხელ და საჭიროებისამებრ. დღის წესრიგი სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად წინასწარ შეთანხმებულ იქნეს 2 კვირით ადრე.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 აპრილის N342 ბრძანება „სენაკის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“.

9. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ.N247).

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი